საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030148311892217

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/724 **06 / იანვარი / 2017 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ ირინე ბართაიას

ქალბატონო ირინე,

თქვენი 2016 წლის 18 ნოემბერის №01/41780 წერილის პასუხად, რომელიც ეხება „ირანის ისლამური რესპუბლიკის კოოპერატივების, შრომისა და სოციალური კეთილდღეობის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის შრომის, დაზღვევის, ტექნიკური და პროფესიული ტრენინგების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტს, გაცნობებთ, რომ ირანის მხარის მიერ წარმოდგენილი მემორანდუმის პროექტი მიზნად ისახავს მხარეთა შორის შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას შრომის, დასაქმების, ტექნიკური და პროფესიული განათლების საკითხებზე, ასევე, ერთობლივი პროექტების განხორციელებას სოციალური დაცვის საკითხებზე, მათ შორის საპენსიო დაზღვევის მიმართულებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოში მოქმედებს უნივერსალური საპენსიო სისტემა და პენსიის დანიშვნის საფუძველია მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევა (ქალებისათვის 60 წელი, მამაკაცებისათვის 65 წელი). ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა შენატანებზე დაფუძნებული დაგროვებითი საპენსიო სქემების შემოღებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მოკლებულია საპენსიო დაზღვევის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობას. რაც შეეხება შრომისა და დასაქმების სფეროებში თანამშრომლობას, გაცნობებთ, რომ ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, „ირანის ისლამური რესპუბლიკის კოოპერატივების, შრომისა და სოციალური კეთილდღეობის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის შრომის, დაზღვევის, ტექნიკური და პროფესიული ტრენინგების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებული კონსულტაციები გაიმართოს აღნიშნული რეფორმების დასრულების შემდეგ.

პატივისცემით,

სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტი) ნანა ქავთარაძე
უფროსი